



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმალლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მათემატიკა
სამაგისტრო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

3 სექტემბერი, 2021 წელი

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი

8.10.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მათემატიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მათემატიკის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მათემატიკა - 0541
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 6 აპრილის # 69 გადაწყვეტილება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რომეო გალდავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი გიორგობიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მამუკა ნადარეიშვილი , ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია , ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლაშა ლალიაშვილი , ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს 1933 წლიდან, ხოლო სამაგისტრო პროგრამა “მათემატიკა” აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2012 წლიდან. პროგრამას აკრედიტაციის ვადა გაუვიდა 2021 წლის 1 ივლისს.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, რომელიც მოიცავს:

1. ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები - 50 კრედიტი;
2. ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი მოდულები (ფუნქციონირება თეორია, დიფერენციალური განტოლებები, ალგებრა-გეომეტრია) – 35 კრედიტი;
3. ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები - 10 კრედიტი;
4. სამაგისტრო ნაშრომი - 25 კრედიტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მათემატიკის მაგისტრი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 3 სექტემბერს, ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითმეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მონვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა ასევე დისტანციურად, ზუმის პლატფორმის საშუალებით. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. ასევე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა 5 სამაგისტრო ნაშრომი. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდ, აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დადგინდა, რომ:

- პირველი სტანდარტის 1.1 და 1.2 ქვესტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველი სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- მეორე სტანდარტის 2.6 ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.2, 2.3, და 2.5 ქვესტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მესხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**
 - ✓ რეკომენდებულია. პროგრამის მიზნებში აისახოს სპეციალიზაციის შესაძლებლობა;
 - ✓ რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში უფრო ნათლად აისახოს თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგი;
 - ✓ რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - ✓ სასურველია სამაგისტრო პროგრამის იმ სასწავლო კურსების სახელწოდებების კორექტირება, რომელთა სახელწოდებები ემთხვევა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სახელწოდებებს.
 - ✓ სასურველია, სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხებში გაიზარდოს ალბათობის თეორიის, დისკრეტული მათემატიკისა და რიცხვითი ანალიზის საბაზო საკითხების რაოდენობა.
 - ✓ სასურველია ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს არჩევითი სასწავლო კურსების - დარგობრივი ინგლისური ენა1 და დარგობრივი ინგლისური ენა2 - ის სავალდებულო კომპონენტად წარმოდგენით ან პროგრამის მიღების წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დადასტურებით.
 - ✓ სასურველია, აკადემიურმა პერსონალმა გააგრძელოს მუშაობა მაგისტრატურის დონის სახელმძღვანელოების/სალექციო კურსების/რიდერების შექმნის მიმართულებით, ვინაიდან ამ მხრივ ქართულენოვანი ლიტერატურა საკმაოდ მწირია.
 - ✓ სასურველია, ფაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს საკუთარ ვებ-გვერდზე.
 - ✓ სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას დაცული იყოს მისი გაფორმების წესი.
 - ✓ სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში ჩანდეს პროგრამის ფინანსური მხარდამჭერი წყაროები, მათ შორის ერთჯერადი.
 - ✓ სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს, თუ რამდენად იყენებს უსდ გამოკითხვის შედეგებს პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის.
 - ✓ სასურველია, პროგრამის უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების შედეგად მიღებული დასკვნები წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ანგარიშის სახით.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

შპს „ლუმენის“ მიერ ჩატარებული „პრომისა და განათლების ბაზრის კვლევა“.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის რეაკრედიტაციისას გათვალისწინებული იქნა 2012 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის და განახლებული სამაგისტრო პროგრამის გარე ექსპერტის რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებს დაემატა საბანკო საქმე და საფინანსო სტრუქტურები. სასწავლო კურსის „ალბათობის თეორიის“ სახელწოდება შეიცვალა „ალბათობის თეორიის გაღრმავებული კურსით“. უკეთ გამოიკვეთა და განაწილდა შესასწავლი საგნის წინაპირობები და უფრო გამრავალფეროვნდა სტუდენტთა აქტივობის კონპონენტის შეფასების კრიტერიუმები. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ხდება ერთი სემესტრის (IV სემესტრი) განმავლობაში, რაც გარე შემფასებლის ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენდა.

ამავე დროს შეიცვალა და განახლებული მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა; განახლდა სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი; განახლდა სწავლის შედეგების რეკა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური, მიღწევადი და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზანს და სტრატეგიულ გეგმას.

პროგრამის მიზნები მეტწილად მკაფიოდ ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც მიმართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ; ითვალისწინებს მეცნიერების, სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს; საჯარო და ხელმისაწვდომია; გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- მისცეს სტუდენტს მათემატიკის ღრმა და სისტემური ცოდნა;
- გამოუმუშაოს სტუდენტს მაღალი დონის პროფესიული საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისათვის აუცილებელი უნარები.

მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: პროგრამის სტრუქტურულიდან გამომდინარე სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთერთ არჩევითი სასპეციალიზაციო მოდული („ფუნქციათა თეორია“, „დიფერენციალური განტოლებები“ ან „ალგებრა-გეომეტრია“), სამაგისტრო ნაშრომიც სწორედ არჩეული სპეციალიზაციის ფარგლებში სრულდება. აღნიშნული გარემოება დადასტურდა როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუების პროცესში. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ პროგრამის მიზნებშიც უნდა აისახოს აღნიშნული გარემოება.

სხვადასხვა მხარეებთან შეხვედრების შემდეგ დადასტურდა, რომ პროგრამის განვითარებისა და განახლების პროცესში ჩართული იყო განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები, რომელთა ქმედითი მონაწილეობით განხორციელდა რიგი ცვლილებები.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო ძალზედ ფართოა, ვინაიდან გულისხმობს მათემატიკური ცოდნის სხვადასხვა დარგში გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლებას და განვითარებას. ეს მათ ხდის კონკურენტუნარიანად დასაქმების ბაზარზე და აძლევს საშუალებას თავისი წვლილი შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის მისია; • საგანმანათლებლო პროგრამა; • ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდებულია. პროგრამის მიზნებში აისახოს სპეციალიზაციის შესაძლებლობა.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p>
<ul style="list-style-type: none"> ➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მეტწილად მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგებია:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <ul style="list-style-type: none"> • აქვს მნიშვნელოვანი საკითხების ღრმა სისტემური ცოდნა მოცემული სპეციალიზაციის ფარგლებში; • აქვს მათემატიკის განვითარებისა და მის დარგებს შორის ურთიერთკავშირის ასპექტების სიღრმისეული ცოდნა; • არჩეული მოდულის ფარგლებში აყალიბებს საკვანძო თეორემებს და მათი დამტკიცების ეტაპებს. <p>უნარი</p> <ul style="list-style-type: none"> • იყენებს მათემატიკურ თეორიებსა და კვლევის მეთოდებს რთული და კომპლექსური ამოცანების გადასაჭრელად და ახდენს მიღებულ შედეგების დემონსტრირებას; • დამოუკიდებლად ეცნობა და ამუშავებს არჩეული სპეციალიზაციის ფარგლებში სამეცნიერო ლიტერატურას და უახლეს კვლევებს; • ახდენს დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების სპეციალისტებისათვის

ნათლად წარმოდგენას როგორც ზეპირად, ისე წერილობით;

- ადგენს მისი სპეციალიზაციის სფეროში მეცნიერების, ტექნიკის და სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი ამოცანების მათემატიკურ მოდელებს. ახდენს მათი მათემატიკური მხარის გააზრებას და მიღებული მათემატიკური შედეგების ანალიზს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება;
- აქვს პროფესიულ საქმიანობაში საკუთარი შესაძლებლობების ობიექტურად შეფასების და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით წვლილის შეტანის უნარი.

სწავლის შედეგებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება: პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე არჩევითი მოდულები რეალურად წარმოდგენენ სასპეციალიზაციო მოდულებს/კონცენტრაციებს და მათი მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს სამაგისტრო ნაშრომის ჩათვლით. აღნიშნული გარემოება დადასტურდა როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუების პროცესში. პროგრამის აღწერით ნაწილშიც ნათლად არის დაფიქსირებული აღნიშნული გარემოება. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ნათლად უნდა აისახოს თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგი.

ჩამოყალიბებული შედეგები მიღწევადი და რეალისტურია; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მონვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა).

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის სტრატეგია, რომლის ძირითადი დანიშნულებაა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასება და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2020 წლის მაის-ოქტომბრის თვეში შპს „ლუმენის“ მიერ ჩატარებული „შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა“, რომლის ერთ-ერთ მიმართულებას შეადგენდა „მათემატიკა“.

პროგრამის თითოეული მიზანი დაკავშირებულია სწავლის შედეგებთან და ასახულია სწავლის შედეგების რუკაზე, საიდანაც ნათლად ირკვევა თუ რომელი სასწავლო კურსებით, აქტივობებითა თუ კომპონენტებით მიიღწევა პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგი.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულებიც. კერძოდ, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულად დადგინდა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 75%-ის მიერ სხვადასხვა სახის აქტივობით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 75 %-ის მიღწევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *სავანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;*
- *პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;*
- *კურიკულუმის რუკა;*
- *პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;*
- შპს „ლუმენის“ მიერ ჩატარებული „შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა“;

<ul style="list-style-type: none"> ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები: რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში უფრო ნათლად აისახოს თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგი.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): შპს „ლუმენის“ მიერ ჩატარებული „შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა“.</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) შეიცვალა და განახლებული მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა; განახლდა სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი; განახლდა სწავლის შედეგების რეკა.</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მათემატიკის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება ;
- მათემატიკაში შიდა საუნივერსიტო გამოცდის ჩაბარება .
- პროგრამაზე მიღებისას არსებული კონკურსის წარმატებით გავლა.

გარდა ამისა, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/6 - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის (NAEC) ვებ გვერდზე. აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ნებისმიერი ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პიროვნებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმ მათემატიკური ცოდნის დადასტურება, რომელიც აუცილებელია სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების თვალსაზრისით. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე, სასურველია, სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხებში გაიზარდოს ალბათობის თეორიის, დისკრეტული მათემატიკისა და რიცხვითი ანალიზის საკითხების რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო საგამოცდო საკითხებში გაიზარდოს ალბათობის თეორიის, დისკრეტული მათემატიკისა და რიცხვითი ანალიზის საბაზო საკითხების რაოდენობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA“ (ანსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება #49) შესაბამისად.</p> <p>პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სწავლების სამაგისტრო საფეხურს და ითვალისწინებს დაშვების წინაპირობას.</p> <p>პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, რომელიც მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები - 50 კრედიტი; • ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი მოდულები (ფუნქციონალური, დიფერენციალური განტოლებები, ალგებრა-გეომეტრია) – 35 კრედიტი; • ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები - 10 კრედიტი; • სამაგისტრო ნაშრომი - 25 კრედიტი. <p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მათემატიკის მაგისტრი.</p> <p>პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე სტუდენტი ირჩევს ერთერთ სასპეციალიზაციო მოდულს სწავლების მეორე სემესტრიდან და სამაგისტრო ნაშრომსაც ასრულებს შესაბამისი სპეციალიზაციის ფარგლებში. მოდულების შინაარსი და სასწავლო კურსები/სამაგისტრო ნაშრომი ნამდვილად უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის მიღებას სპეციალიზაციის მიხედვით. ამდენად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის მიზნებში აისახოს სპეციალიზაციის შესაძლებლობა, ხოლო სწავლის შედეგებში ნათლად აისახოს თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგი.</p> <p>აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში გამოიკვეთა ინგლისურენოვანი კონპონენტი, რაც გამოიხატება არჩევით სასწავლო კურსებად დარგობრივი ინგლისური ენა-1 და დარგობრივი ინგლისური ენა-2 შემოტანა. გასათვალისწინებელია ის ფაქტორი, რომ პროგრამაზე მიღების წინაპირობას არ წარმოადგენს ინგლისური ენის სათანადო დონეზე ცოდნა. ინგლისური ენის სასწავლო კურსებიც წარმოდგენილია არჩევითი</p>

და არა სავალდებულო სახით. სამაგისტრო სწავლების საფეხურზე ინგლისური ენის ცოდნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სათანადო ლიტერატურის, მასალის მოსაძიებლად, ცოდნის გასაღრმავებლად და რაც მთავარია სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად კვლევითი კომპონენტის გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, სასურველია ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერება, რაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ან არჩევით სასწავლო კურსებად არსებული დარგობრივი ინგლისური ენა-1 და დარგობრივი ინგლისური ენა-2- ის სავალდებულო კომპონენტად წარმოდგენით ან უმჯობესია პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონზე ცოდნა.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა;
 - სასწავლო კურსების სილაბუსები;
 - კურიკულუმის რუკა;
 - „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA - ანსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება 49(17/18), 9 თებერვალი, 2018 წ.“;
 - უნივერსიტეტის ვებგვერდი;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

არჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს არჩევითი სასწავლო კურსების დარგობრივი ინგლისური ენა-1 და დარგობრივი ინგლისური ენა-2- ის სავალდებულო კომპონენტად წარმოდგენით ან პროგრამის მიღების წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დადასტურებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება მაგისტრატურის საფეხურისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია

მისი შინაარსის, მისალწვევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურსებში განსაზღვრულია სწავლა-სწავლების მეთოდები. კურსის სწავლების შედეგების შეფასება მოცემულია კურსის სილაბუსებში და მოიცავს შეფასების კომპონენტებს.

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს სასპეციალიზაციო მოდულებს სწავლების მეორე სემესტრიდან. მოდულების შინაარსი და სასწავლო კურსები/სამაგისტრო ნაშრომი ნამდვილად უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის მიღებას სპეციალიზაციის მიხედვით.

ცოდნისა და უნარების კომპეტენციების მიღწევა უზრუნველყოფილია თითოეული სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული უახლესი ლიტერატურითა და სასწავლო რესურსებით, რომლებიც წარმოადგენს სფეროსათვის აქტუალურ, რელევანტურ, თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების ამსახველ მასალას. რიგ სასწავლო კურსებში ძირითად ლიტერატურაში მითითებულია კლასიკური ქართულენოვანი გამოცემები, მომზადებულია სალექციო კურსის/რიდერის ელექტრონული ვერსიები. მნიშვნელოვანია, რომ აკადემიურმა პერსონალმა გააგრძელოს მუშაობა შესაბამისი დონის სალექციო კურსების/რიდერების შექმნის მიმართულებით, ვინაიდან ამ მხრივ ქართულენოვანი ლიტერატურა საკმაოდ მწირია.

2011 წლიდან უნივერსიტეტში ჩართულია ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინ – კატალოგის (OPAC) სერვისი. ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა სხვადასხვა მიმართულების ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებზე.

სასწავლო კურსების სახელწოდებებთან დაკავშირებით გამოიკვეთა შემდეგი გარემოება:

რიგი სასწავლო კურსების დასახელება ემთხვევა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მათემატიკის“ საბაკალავრო სასწავლო კურსების დასახელებას, თუმცა მათი შინაარსი განსხვავებულია და შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის დონეს (მაგ. დისკრეტული მათემატიკა, რიცხვთა თეორია, ფუნქციონალური ანალიზი - 1, ფუნქციონალური ანალიზი - 2, ოპტიმალური მართვის თეორია და სხვ). აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესაბამისი სამაგისტრო სასწავლო კურსების სახელწოდებების კორექტირება (მაგ. გაღრმავებული კურსი ან სხვ).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *სავანმანათლებლო პროგრამა;*
- *სასწავლო კურსების სილაბუსები;*
- *კურიკულუმის რუკა;*
- *სილაბუსებში ასახული სასწავლო მასალა/რესურსი*
- *უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია სამაგისტრო პროგრამის იმ სასწავლო კურსების სახელწოდებების კორექტირება, რომელთა სახელწოდებები ემთხვევა საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსების სახელწოდებებს.
- სასურველია, აკადემიურმა პერსონალმა გააგრძელოს მუშაობა მაგისტრატურის დონის

სახელმძღვანელოების/სალექციო კურსების/რიდერების შექმნის მიმართულებით, ვინაიდან ამ მხრივ ქართულენოვანი ლიტერატურა საკმაოდ მწირია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში. თეორიული მასალის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ სტუდენტები ასრულებენ სხვადასხვა სახის პრაქტიკული ხასიათის ამოცანებს მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებიდან. დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტი ასრულებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელიც ახდენს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი უნარების გამოვლინებას. ამასთან ამ ნაშრომის შესრულების დროს სტუდენტი იძენს საკუთარი საქმიანობის ეთიკის ნორმების დაცვითა და კვლევითი მუშაობის დამოუკიდებლად წარმართვის უნარ ჩვევებს. ნაშრომის ორიგინალობის ხარისხის დადგენის მიზნით უნივერსიტეტში გამოიყენება პლაგიატის აღმოჩენის სპეციალური პროგრამა.</p> <p>ამავე დროს სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში (2005 წლიდან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ყოველწლიურ კონფერენციებში, 2020 წელს გაიმართა online რეჟიმში), სასკოლო მათემატიკური ოლიმპიადების მომზადებაში, თანამედროვე მათემატიკური მიღწევების გაცნობისათვის ჩასატარებელ ღონისძიებებში.</p> <p>სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებულ სხვადასხვა კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის ტრადიცია.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალა; • სტუდენტური კონფერენციის პროგრამები;

• ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p style="text-align: center;">სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების პროცესი მიმდინარეობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის შერჩეულია რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო კურსის/კომპონენტის შინაარსთან, მიზნებთან და შესაძლებელს ხდის კურსით/კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია/დებატები, ანალიზი და სინთეზი, დემონსტრირების მეთოდი, ელექტრონული სწავლების ელემენტები და სხვ. აღნიშნული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.</p> <p>სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. მსგავსი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება დაინიშნოს წინასწარ, შეხვედრების საათების ფარგლებში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • სამაგისტრო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის დადგენილება # 30 (17-18) – „სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტთა შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომელიც სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ. ეს წესები საჯაროა, ხელმისაწვდომია, გამჭვირვალეა, კანონმდებლობასთან შესაბამისია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების, შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში, რომლებიც ერთვის საგანმანათლებლო პროგრამას, შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა;</p> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX - ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</p> <p>სტუდენტის აქტივობა, რომელიც მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს, სასწავლო სემესტრის განმავლობაში შეადგენს არა უმეტეს 30 ქულას, შუალედური გამოცდა არა ნაკლებ 30 ქულას და დასკვნითი გამოცდა - 40 ქულას. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას.</p> <p>დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით.</p> <p>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში</p>

მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0 - 50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

შეფასების მეთოდები და რუბრიკები დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ელექტრონულად, ისე მატერიალური ფორმით. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით. შეფასების სისტემაში ქულები გადანაწილდება შემდეგი სქემის მიხედვით:

(A) 91-100 ფრიალი

(B) 81-90 ძალიან კარგი

(C) 71-80 კარგი

(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51-60 საკმარისი

(FX) 41-50 ვერ ჩააბარა რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ნაშრომის დაცვაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0-40 ჩაიჭრა რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა ხელახლა აქვს შესასწავლი და დასამუშავებელი შეფასების კომპონენტებია:

1. ნაშრომის ფორმალური მხარე - 10 ქულა;

2. ნაშრომის შინაარსობრივი მხარე - 60 ქულა:

- თემის აქტუალობა - 30 ქულა;
- თემის ორიგინალობა - 10 ქულა;
- შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობა - 5 ქულა;
- შეგროვილი მონაცემები, შემუშავებული მეთოდები - 5 ქულა;
- საინფორმაციო რესურსების გამოყენება - 5 ქულა;
- მსჯელობის ხარისხი - 5 ქულა;

3. ნაშრომის პრეზენტაცია - 30 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის დასაცავად, დეპარტამენტის წარდგინებით ფაკულტეტის დეკანი ქმნის დაცვის კომისიას, რომელშიც შედიან საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი, რომლებიც აფასებენ ნაშრომს დაგეგმილი წესით. დაცვის კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ სამი წევრისა და კომისიის მდივნისაგან. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სამი წევრი.

დაცვის კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც არის დარგის სპეციალისტი და დაცვის მომენტისათვის არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს კომისიის წევრი, თუმცა იგი არ მონაწილეობს შეფასების პროცესში. ნაშრომის დაცვა ხორციელდება საჯაროდ, პრეზენტაციის სახით, რომელიც არ უნდა აღმატებოდეს 15-20 წუთს, 5-10 წუთი ეთმობა შეკითხვებს კომისიის წევრების მხრიდან (თემის პრეზენტაცია უნდა გაკეთდეს Power Point-ის პროგრამის დახმარებით).

აღსანიშნავია, რომ საგნის „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსში არაა წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები ქულების მიხედვით.

სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრებისა და საპატიო მიზეზით გაცდენილი შეფასების/გამოცდის აღდგენის პროცედურები დეტალურადაა განწერილი აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №10 (17/18) დადგენილებით დამტკიცებულ გამოცდების აპელაციის წესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის აღწერა;
- აკადემიური საბჭოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №5(17/18) აკადემიური სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;
- აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №10 (17/18) დადგენილება გამოცდების აპელაციის წესის შესახებ;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:
რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განსაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების დეტალური რუბრიკები, რათა სტუდენტის შეფასების პროცესში მაქსიმალურად იყოს დაცული ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა და გამჭვირვალობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<p>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</p>
<p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა სრულად მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის თაობაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების გზებზე, დასაქმებისა და კარიერულ განვითარების შესაძლებლობებზე. ამ ინფორმაციისათვის საჭირო დოკუმენტაცია საჯაროა, ხელმისაწვდომია და განთავსებულია ფაკულტეტის ვებ-გვერდზე. სტუდენტს ასევე შეუძლია მიიღოს შესაბამისი საჭირო ინფორმაცია, კონსულტაცია და დახმარება როგორც უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალისგან, ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალისაგან.</p> <p>სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „მათემატიკა“ სტუდენტები ინფორმირებულები არიან ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებების, კონფერენციების შესახებ და შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათში, ასევე ისარგებლონ საერთაშორისო მობილობით. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სტუდენტებს ეგზავნებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და ასევე იღებენ აკადემიური პერსონალისაგან.</p> <p>პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. სტუდენტები ინდივიდუალურ კონსულტაციებს აკადემიური პერსონალისაგან იღებენ მათთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, თუმცა სტუდენტებისათვის გაცილებით მოსახერხებელი იქნება, თუ ფაკულტეტი ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგენს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგს დეპარტამენტების მიხედვით და განათავსებს თავის ვებ-გვერდზე.</p> <p>ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას სტუდენტები იღებენ როგორც უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის, ასევე აკადემიური პერსონალის მეშვეობით. ინტერვიუზე წარმოდგენილი სტუდენტებიდან და კურსდამთავრებულებიდან ყველა დასაქმებულია თავისი პროფესიით (უმეტესწილად სკოლაში).</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ანსუ-ს ვებ-გვერდი; • ანსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ-გვერდი; • ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია, თაკულტეტმა ყოველი სემესტრის დასაწყისში შეადგინოს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის განრიგი დეპარტამენტების მიხედვით და განათავსოს საკუთარ ვებ-გვერდზე.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას „მათემატიკა“ ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი. თითოეული მათგანი აქტიური მეცნიერია. სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია და მოვალეობები განერილია „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში“ პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსის სილაბუსებში არსებული დამოუკიდებელი სამუშაოებისა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში სამეცნიერო ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ მაგისტრანტთან. მუშაობის ინტენსიობა დამოკიდებულია ნაშრომის შესრულების ფაზაზე.</p> <p>ექსპერტთა მიერ გადაიხედა სამაგისტრო ნაშრომები, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ზოგ ნაშრომს არ ჰქონდა ანოტაცია და დასკვნა. ამრიგად სასურველი იქნება, რომ სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას დაცული იყოს მისი გაფორმების წესი.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი“; • პერსონალის CV-ები; • პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია, სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას დაცული იყოს მისი გაფორმების წესი.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამოუმუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მონვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მონვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაზე დასაქმებული აკადემიური პერსონალის CV-ების, მათ მიერ გამოქვეყნებული შრომების სიის გაცნობამ და მათთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი ფლობს აუცილებელ კომპეტენციას პროგრამის მიზნებისა და შედეგების წარმატებით რეალიზაციისათვის. პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მონვეულ პერსონალს ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს 89 სამეცნიერო ნაშრომი მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებში. ისინი სისტემატიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში. ბოლო 5 წლის განმავლობაში მათ მიერ კონფერენციებზე გაკეთებული იყო 79 მოხსენება (მათ შორის 65 საერთაშორისო კონფერენციებში).

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 14 აფილირებული აკადემიური (მათ შორის აფილირებული პროფესორი - 2, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 11, აფილირებული ასისტენტი პროფესორი 1) და 2 მონვეული პროფესორი. პედაგოგიური პერსონალის ეს რაოდენობა და მათი კვალიფიკაცია სრულიად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ჯეროვანად წარმართვას. აკადემიური და მონვეული პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

თითოეული მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ მაღალი კვალიფიკაცია ისინი სისტემატიურად იღებენ მონაწილეობას კონფერენციებში და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო შრომები.

პროგრამის შემუშავებას ხელმძღვანელობდნენ მაღალი სამეცნიერო ავტორიტეტის მქონე პროფესორები, პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნითა და გამოცდილებით. ისინი რეგულარულად მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონფერენციებში. მათ ბოლო წლებში გამოქვეყნებული აქვთ ათეულობით სამეცნიერო სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში.

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით; სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვაში მონაწილეებს მათემატიკის დეპარტამენტის ადმინისტრაცია და ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ცენტრებში, ფაკულტეტის სამდივნოსა და ადმინისტრაციაში მომუშავე დამხმარე პერსონალი.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV;
 - ყოველწლიური თვითშეფასება და სამეცნიერო ანგარიშები;
 - პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები;
 - თვითშეფასების ანგარიში;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დანერგვება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიზნით უნივერსიტეტში სისტემატიურად ტარდება აკადემიური პერსონალის შეფასება. უნივერსიტეტში შემუშავებულია ლექციებზე ურთიერთდასწრების მექანიზმები წინასწარ შედგენილი ურთიერთდასწრების გრაფიკის შესაბამისად.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებში და აფინანსებს მათ მივლინებებს. ასევე, უნივერსიტეტი ხელს უწყობს და აფინანსებს საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზებასა და ჩატარებას მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ასევე ახალისებს სამეცნიერო მუშაობას. ამ მიზნით დანერგულია ფულადი პრემია მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნების შემთხვევაში.

იმ მიზნით, რომ გაარკვიოს სტუდენტთა დამოკიდებულება მიმდინარე სასწავლო პროცესისადმი და დასახოს ღონისძიებები პროგრამის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მათემატიკის

დეპარტამენტი რეგულარულად აწარმოებს მაგისტრატურის სტუდენტთა გამოკითხვას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის CV; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი; • კონფერენციების ამსახველი მასალები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა იყენებს მათემატიკის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურასა და ტექნიკურ აღჭურვილობას, რომელიც რაოდენობრივად და ხარისხობრივად უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის სტუდენტებსა და პერსონალს შეუძლია ისარგებლოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით, რომელშიც საერთო სივრცის გარდა არის კაბინეტები ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისათვის.</p> <p>ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა, რომელთა დიდი ნაწილი ელექტრონულ ფორმატშია და სტუდენტებს მათი მიღება შეუძლიათ დისტანციურად.</p> <p>სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები; • ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • დისტანციურად განხორციელებული დათვალიერების შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში; • ფაქტობრივი მდგომარეობა; • ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
<p>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის საკითხის გარკვევის მიზნით, შემუშავებულია დოკუმენტი (Excel-ის ფაილის სახით), რომელშიც მოცემულია პროგრამის ხარჯვითი ნაწილი. დოკუმენტის მიხედვით პროგრამის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭიროა 18 სტუდენტისაგან შემოსული გადასახადი. ბოლო წლებში პროგრამა თვითკმარია, რადგან პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა აღემატება 18-ს. როგორც გასაუბრების პროცესში აღინიშნა, მათემატიკის სამაგისტრო პროგრამა პრიორიტეტულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის და სტუდენტების რაოდენობა 18-ზე ნაკლებიც რომ იყოს პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილი იქნება უნივერსიტეტის ბიუჯეტით, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის განხორციელებისათვის განკუთვნილ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარებისათვის თანხები გაიცემა ფაკულტეტის „ბონუსებიდან“. ეს უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად ფუნქციონირებას.</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ პროგრამის ბიუჯეტში არ ჩანს პროგრამის ფინანსური მხარდაჭერი წყაროები, მათ შორის ერთჯერადი.</p>
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის ბიუჯეტი; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში ჩანდეს პროგრამის ფინანსური მხარდაჭერი წყაროები, მათ შორის ერთჯერადი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადანაცვების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“ რომელიც ითვალისწინებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ავტონომიურობის დაცვით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს „უმალესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით.

ინტერვიუებიდანაც გამოიკვეთა და წარმოდგენილი დოკუმენტაციაც ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეყრდნობა პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“, რომელიც თავისმხრივ მოიცავს შემდეგ პროცედურებს:

I. დაგეგმე - აკრედიტაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება ხდება საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელი სამი პროცედურის მიხედვით: 1. საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა; 2. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა; 3. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს.

II. განახორციელე - ეყრდნობა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურებს. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურებიდან გამომდინარე დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვისთვის განსაზღვრულია შესაბამისი პერიოდულობა. ამავე დოკუმენტში მითითებულია, რომ სტუდენტთა და პედაგოგთა გამოკითხვები წარმოებს ყოველი სემესტრის ბოლოს, ხოლო დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების ორ წელიწადში ერთხელ. აღნიშნული საკითხის დასაზუსტებლად უსდ-ს მხრიდან წარმოდგენილი იყო შესაბამისი გამოკითხვები და მათი ანალიზი.

III. შეამოწმე - ეს ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების პროცესს. სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწმდება: ა) საგანმანათლებლო პროგრამები ბ) სასწავლო კურსები/კომპონენტები გ) სასწავლო პროცესის მიმდინარეობა დ) აკადემიური/მონვეული პერსონალი.

შეფასებების ხორციელება იმ შიდა რეგულაციების მიხედვით, რომელიც უნივერსიტეტს აქვს

დამტკიცებული.

IV. განავითარე - ეტაპი მოიცავს შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზს, შესაბამისი დასკვნების გამოტანას.

უნდა აღინიშნოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მონაცემთა გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, თუმცა ნაკლებად იკვეთება რეკომენდაციების შემუშავებისა და გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრის ეტაპი, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი იწყება შეფასების პროცესების დაგეგმვით. მეორე ეტაპი მოიცავს დაგეგმილი შეფასების პროცესების განხორციელებას, რაც გულისხმობს არსებული საყურადღებო საკითხებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების აღმოჩენას, თუმცა სასურველია გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, ანალიზის წარმოების შემდეგ, მიღებულ შედეგებზე შემდგომი რეაგირება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით ნაბიჯების გადადგმას, საჭირო ცვლილებების განხორციელებას. პროცესი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ გამოკითხვებისა და ანალიზის ეტაპს, არამედ უნდა იკვეთებოდეს მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შემდგომში განხორციელებული ან დაგეგმილი რეაგირებებიც. შესაბამისად, სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიან რეაგირების ანგარიშში. უსდ-მ გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე უნდა შეიმუშავოს რეკომენდაციები საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით და თავი მოუყაროს ერთიან ანგარიშში, სადაც ასევე მიეთითება გასაუმჯობესებელ მხარებთან მიმართებით განხორციელებული შემდგომი რეაგირებები.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიუების პროცესზე დაკვირვებით უნდა ითქვას, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

2018 წლის იანვარში ანსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურის იმპლემენტაცია. ინსტიტუციის მხრიდან შემუშავდა სხვადასხვა სახის დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ყველა სტრუქტურული ერთეულის ეფექტურად ჩართვას, რაც შემდგომში, თავის მხრივ უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და შემდგომ განვითარებას.

თვითშეფასების ანგარიშზე დაყრდნობით და ინტერვიუების პროცესით გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედეგაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. გარდა ამისა, შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავდა თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. ანსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;

<ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომის ოქმები; • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>სასურველია, გამოკითხვის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრიდეს ერთიანი რეაგირების ანგარიშში, რათა უფრო ნათლად გამოიკვეთოს, თუ რამდენად იყენებს უსდ გამოკითხვის შედეგებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის.</p>
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2 გარე ხარისხის შეფასება
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკის ნაწილია გარე შეფასების მექანიზმების გამოყენება.</p> <p>გარე შეფასების ინსტრუმენტებს უსდ აქტიურად იყენებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ამისთვის ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან. სხვადასხვა პარტნიორ უნივერსიტეტში გარე შემფასებლებთან თანამშრომლობა, დარგის სპეციალისტების მიერ გაცემული გარე შეფასებები რეკომენდაციების/რჩევების სახით უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, დახვეწას და შესაბამისად, პროგრამებით დასახული სწავლის შედეგების უკეთ მიღწევას.</p> <p>პროგრამის გარე შეფასებაში მონაწილეობა მიიღო გარე შემფასებელმა (ექსპერტმა), პარტნიორი უნივერსიტეტიდან, რომელიც არ არის შესაფასებელი პროგრამის წარმომადგენელი, არ არის დაინტერესებული მხარე, შეფასებისას იცავს ეთიკის ნორმებს, გააჩნია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები</p> <p>გარე შეფასების შედეგად გამოთქმული რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნა პროგრამაზე მუშაობისას.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“.</p>

პროგრამის რეაკრედიტაციისას გათვალისწინებული იქნა 2012 წლის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის და განახლებული სამაგისტრო პროგრამის გარე ექსპერტის რეკომენდაციები, რომლის მიხედვითაც კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებს დაემატა საბანკო საქმე და საფინანსო სტრუქტურები. ინსტიტუციამ მაქსიმალურად შესაძლებლობის ფარგლებში მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსი იწყებოდა არა დამამთავრებელ სემესტრში, რაც აისახა პროგრამის კურიკულუმში.

უკეთ გამოიკვეთა და განაწილდა შესასწავლი საგნის წინაპირობები და უფრო გამრავალფეროვნდა სტუდენტთა აქტივობის კონპონენტის შეფასების კრიტერიუმები. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება ხდება ერთი სემესტრის (IV სემესტრი) განმავლობაში, რაც გარე შემფასებლის ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენდა.

სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას, გათვალისწინებული იქნა გარე ექსპერტის რეკომენდაცია. კერძოდ კი, კომპეტენციაში „უნარი“ ერთ-ერთი პუნქტი ჩამოყალიბდა სწორედ გარე ექსპერტის რეკომენდაციის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტი გარე შეფასების შედეგებს იყენებს პროგრამის განვითარების/გაუმჯობესების მიზნით. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა და მართვა ხორციელდება უსდ-ს მიერ დამტკიცებული რეგულაციების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს ყველა პროცესის მიმდინარეობის სიზუსტეს და გამჭვირვალობას.

უნივერსიტეტი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს პერიოდულად წარუდგენს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას თვითშეფასების ანგარიშის სახით დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველწლიური ანგარიშები; • აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები; • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა- EP-QA; • 2012 წლის აკრედიტაციის ოქმი 3. 06. 04. 2012; • მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმი • მათემატიკის დეპარტამენტის სხდომის ოქმები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების,

დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშითა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტეტის წესდებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებითა და სტანდარტებით და ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნებისა და მისიის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით. აღნიშნული პროცედურა გამოიყენება აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით შემდეგი აქტივობების/ღონისძიებების გამოყენებით:

ა) პროგრამის მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები პერიოდულად აისახება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებებისა და დამატებების სახით.

ბ) ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები.

სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა წარმომადგენელთა გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე ხდება პროგრამის შედეგებისა და შემდგომი განვითარების საჭიროებების შესახებ კვლევა. რისთვისაც გამოიყენება როგორც გამოკითხვა სპეციალურად შექმნილი კითხვარების მიხედვით, ასევე ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრები და განხილვები. აღნიშნული კითხვარები არის ანონიმური, რაც გამოკითხულ პირებს მეტ თავისუფლებას აძლევს, რომ თავიანთი პოზიციად მკაფიოდ დააფიქსირონ.

ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების, ორ წელიწადში ერთხელ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. გამოკითხვებს წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამისი აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი. პროცედურის განხორციელებით მიღებული შეფასება მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარების საფუძველს წარმოადგენს, რაც მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათ შესაბამისობას უზრუნველყოფს. აღნიშნული გამოკითხვებისთვის კითხვარებს ადგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელთაც ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. გამოკითხვის შედეგების ანალიზს აკეთებს და შესაბამის რეკომენდაციებს გასცემს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ანალიზის შედეგები წინასწარ განსაზღვრული ვადების დაცვით ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს, რომლებიც უზრუნველყოფენ

ინფორმაციის მიწოდებას პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებით დასტურდება, რომ დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვები პერმანენტულ ხასიათს ატარებს და გამოკითხვებით მიღებული შედეგები და ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პოლიტიკის გადახედვას და სრულყოფას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.

გ) ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი, რომელსაც ახორციელებს დეპარტამენტი, რაც იძლევა სხვადასხვა საგნების სწავლების ხარისხის შეფასების, ხარვეზების გამოვლენისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას საჭიროებების შემთხვევაში. აკადემიური პერსონალის ურთიერთდასწრება და სააუდიტორიო მუშაობის შეფასება და შეფასების შედეგების ანალიზი ხდება ყოველ სემესტრში.

დ) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგისა და ანალიზის წარმმართველ პირს/სტრუქტურას წარმოადგენს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაცია. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი სრულდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, რაც ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შემდეგი მონაცემების შეგროვებას, როგორცაა ჩატარებული გამოცდების რაოდენობა, გამოცდებზე დაშვებული სტუდენტების რაოდენობა, ECTS-ის მიხედვით მიღებული დადებითი და უარყოფითი შეფასებების მაჩვენებელი, დადებითი შეფასებების მაჩვენებელი ECTS -ის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამების და სემესტრების მიხედვით, იმ სასწავლო კურსების დადგენა, სადაც ფიქსირდება უმაღლესი შეფასებების (A და B), ან დაბალი შეფასებების (E და D) მაღალი პროცენტული მაჩვენებელი და მიზეზების დადგენა. ხდება მონაცემების შედარება წინა სემესტრების მაჩვენებლებთან, რათა დინამიკაში გამოიკვეთო ჰქონდა თუ არა აკადემიური მოსწრების რადიკალურ ცვლილებას ადგილი და დადგინდეს მიზეზები.

ე) კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ყოველწელს აკეთებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვას დასაქმებასთან დაკავშირებით და მიღებული შედეგების ანალიზით დგინდება რამდენად მოთხოვნადია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებული შრომის ბაზარზე. ინსტიტუციამ წარმოადგინა შესაბამისი ანალიზები ამ მიმართულებით.

ვ) პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, მონვეული) განვითარების ანალიზი და მათი მხრიდან განხორციელებული აქტივობები წარმოდგენილი იყო ანგარიშების სახით.

ინსტიტუციის მხრიდან არ იყო წარმოდგენილი ე. წ. „ბენჩმარკინგი“, რაც გულისხმობს პროგრამის დადარებას უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას. თანდართული იყო მხოლოდ იმ უსდ-ების პროგრამების ჩამონათვალი, რომელიც მსგავს პროგრამას ახორციელებს, მაგრამ არ იყო გაკეთებული დადარება და შესაბამისი ანალიზი.

აკრედიტაციის 5.3. სტანდარტი, რომელიც მოიცავს პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას, პირდაპირ მიუთითებს, რომ პერიოდულად უნდა ხდებოდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გამოყენებული იქნეს საუკეთესო

საერთაშორისო პრაქტიკა.

შესაბამისად,, სასურველია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან და წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ანგარიშის სახით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა;
- აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარი;
- სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან შედარების შედეგად მიღებული დასკვნები წარმოდგენილი იყოს შესაბამისი ანგარიშის სახით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
მათემატიკა, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის


სახელი, გვარი, ხელმოწერა



/რომეო გალდავა/

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა



/გიორგი გიორგობიანი/

სახელი, გვარი, ხელმოწერა



/მამუკა ნადარეიშვილი/

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნ. პატარია

/ნინო პატარია/

სახელი, გვარი, ხელმოწერა



/ლაშა ლაღიაშვილი/